# ქართული აზრი


> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**


ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 40 ოქტომბერი. ნიუ-იორკი, 1960 წ. **GEORGIAN OPINION** NEW YORK, OCTOBER 1960


## ოქტომბერი. ნიუ-იორკი, 1960

**ხრუშჩოვმა იმდენათ გაბერა და იმდენათ დრამატიული მნიშვნელობა მისცა გაერთიანებული ერების ა. წ. სექტემბრის ყრილობაზე დასწრებას, რომ მსოფლიო ყურადღება მიიპყრო. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში აწარმოვა პროპაგანდა, რათა გაერთიანებულ ერების წევრ სახელმწიფოების ყველა მეთაურები დასწრებოდნენ. თავისი მხრიდან კი მან უკლებლივ მოიყვანა, არა მარტო მოსკოვის მიერ დამონებული პოლონეთი, უნგრეთი და სხ. დაპყრობილ ერების ტიკინა მთავრობების მეთაურეთი, არამედ კასტროც კი ჩამოიყვანა, რევოლუციონური წესის თანახმად, თავისი გაპოხილი პერანგით და დაუვარცხნელი წვერით**

**ხრუშჩოვის მიერ გაბერილ პროპაგანდით შექმნილმა ფსიქოზმა დასძლია ისეთ ნეიტრალურ ქვეყნების მეთაურების ცნობის მოყვარეობას, როგორც ეგვიპტე და ინდოეთია და გაერთიანებული ერების ამ ყრილობას ნასერი და ნერუც ეწვია.**

ხრუშჩოვმა ისეთი წინასწარი პროპაგანდა აწარმოვა, რომ კაცობრიობა ფიქრობდა რაღაც უდიდესი მნიშვნელობის აქტის ჩადენას აპირებდა. ზოგი კიდეც ფიქრობდა თითქოს რუსეთი მზათ იყო სტრატოსფეროში კაცის გასაგზავნად და ამის გამჟღავნებას ხრუშჩოვის ნიუ-იორკში ყოფნას უკავშირებდა და ამიტომ სათანადო ნიადაგს ამზადებდნენ, რათა ამ მოვლენას გაუთვალისწინებელი მომენტები არ შეექმნა დასავლეთ და კერძოდ აფრო-აზიურ დელეგაციებში.

ბოლოს გამოირკვა, რომ საზოგადოებრივი აზრი ხრუშჩოვის ტრაბახით დაყენებულ კორიანტელის შეფასებაში ძალიან შორს მიდიოდა და მას დიდ მოთხოვნილებას უყენებდა. თვით ხრუშჩოვი კი, თურმე, სულ სხვა მიმართულებით ამზადებდა შეტევას. მან სამი საკითხი წარმოშვა. პირველი—გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის, ჰამარშალდის გადაყენება. ხრუშჩოვის განცხადებით ჰამარშალდის მოქმედება კონგოში ეწინააღმდეგებოდა „გაერთიანებული ერების პრინციპებს“ (ე.ი. საბჭოთა კავშირის ინტერესებს არ იცავდა და მისი „სპეციალისტები“ კონგოდან განდევნა). და საზოგადოთ ჰამარშალდი „დასავლეთური ორიენტაციის და მათი ინტერესების დამცველია“-ო. სამაგიეროთ მან წამოაყენა სამ კაციანი (ერთი დასავლეთელი, ერთი აღმოსავლეთის, ე. ი. კომუნისტური ბლოკის და ერთი ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შემდგარი) მეთაურობა და ყოველ მათგანს ანიჭებდა „ვეტოს“ უფლებას. ეს წესი სტალინის სიკვდილის შემდეგ გაბატონდა კრემლში და იქამდე არსებობდა, ვიდრე ხრუშჩოვმა თავის სავარაუდო კონკურენტებს არ უყელთა და თვითონ არ დაიმკვიდრა დიქტატორის სკამი. ამ გამოცდილების თანახმად ხრუშჩოვი ლამობდა „ვეტოს“ უფლებით დამბლადაცემულობა გამოეწვია გაერთიანებულ ერებში, ვიდრე კომუნისტები საბოლოოდ არ დაიმკვიდრებდნენ პირველობას და ბატონობას. მეორე საკითხი იყო—საერთოდ გაერთიანებული ერების მთავარსადგომის ნიუ-იორკიდან გადატანა. ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების წარმომადგენლებმა, მისი ფანჯრის წინ, მოაგონეს თავიანთი თავის არსებობა და ისიც თუ რაოდენი სიძულვილი არსებობს დამპყრობელის მიმართ.

ხრუშჩოვმა თავისი მოუქნელობით, სახელმწიფო მოღვაწისათვის შეუფერებელი მოქმედებით და თავისი აზრის გამოთქმის დროს დიპლომატიურ-პარლამენტარული გამოთქმების გვერდის ავლით ააჯანყა არა მარტო დასავლეთელი ბლოკის წარმომადგენლები, არამედ ნეიტრალური ქვეყნებიც და ზოგი რუსეთისათვის მეგობრულად განწყობილი ქვეყნებიც.

მაკ მილანი დაუყონებლივ გადმოფრინდა ლონდონიდან. მისმა სიტყვამ მტვრათ და ნაცრად აქცია ხრუშჩოვის წინადადებები. მან კატეგორიულად განაცხადა ინგლისის მთლიანი მხარის დაჭერა ჰამარშალდისადმი.

შხამ მორეული ხრუშჩოვი კი გაბუტული ბავშვივით მაგიდას ურტყავდა მუშტებს და როცა ხელი დაეღალა (ან ეტკინა!) ფეხსაცმელი გაიხადა და იმით განაგრძო რახუნი...

ნერუ გაოცებული უყურებდა ხრუშჩოვს და ცოტა ხნის შემდეგ ისიც კი გამოვიდა ხრუშჩოვის წინადადებების წინააღმდეგ და გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის (მაშასადამე გაერთიანებული ერების საერთო პოზიციის) დასაცავად. მან თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, თუ რამდენად სჭირდებათ ეს ორგანიზაცია პატარა ერებს და რამდენად საჭიროა იგი მათი თავისუფლების დასაცავად. გაერთიანებული ერები უნდა იყოს მაგარი, სწრაფი და სწორე მის გარდაწყვეტილებაში“-ო. ნერუმ აღნიშნა, რომ დიდი ერისათვის ადვილია გაერთიანებული ერებიდან სულ გასვლა, მაგრამ პატარა ერისათვის ეს ძალიან ძნელია, რადგან მას სჭირია მოკავშირე და მშველელი

მესამე საკითხი, რომელიც ხრუშჩოვმა ყრილობის მსვლელობის პროცესში წარმოშვა და რომლითაც ფიქრობდა აფრო-აზიური ქვეყნების გულის მოგებას—კოლონიალიზმის საკითხი იყო. მთელმა დასავლეთმა ერთხმად მიიღო ხრუშჩოვის წინადადება, რათა გაერთიანებულმა ერებმა ეს საკითხი დააყენოს და მასზე იმსჯელოს, იმ დამატებით, რომ ამავე დროს უნდა გაირჩეს საბჭოთა კავშირის კოლონიალურ-იმპერიალისტური პოლიტიკაც.

ხრუშჩოვმა ბევრი ამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირს კოლონიები არა აქვს და ის თავისუფალ ერთა ნებაყოფლობით კავშირს წარმოადგენსო, მაგრამ მას არც ეს პროპაგანდა გაუვიდა.

დასავლეთელ ორატორთა შორის საბჭოთა კოლონიალიზმზე ავსტრალიის, კანადის და სხ. დელეგატებმა ილაპარაკეს. მათი აზრით მეცხრამეტე საუკუნის კოლონიალური პოლიტიკა დასრულდა. დასავლეთმა ნებაყოფლობით აიღო ხელი ამაზე და ყოფილ კოლონიალურ ქვეყნებს თავისუფლებას ანიჭებენ. ეხლა ჩვენს წინა დგა კოლონიალიზმის ახალი სახე, რომელსაც ისტორიაში არ ნახული მრისხანებით აწარმოებს საბჭოთა კავშირიო.

რომ დასავლეთური, ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის კოლონიალიზმი მართლაც დასრულდა, ამის საუკეთესო ნიმუშს ის ფაქტი იძლევა რომ გაერთიანებული ერების იმავე ყრილობამ თექვსმეტი ახლად წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფო —ყოფილი კოლონიალური ქვეყნები, თავის წევრებათ დაამტკიცა.

ამგვარად ხრუშჩოვს აქაც ბედმა უმტყუნა და წინასწარ გათვალისწინებული იმედი არ გაუმართლდა, რისთვისაც დიდი ხნიდან ემზადებოდა და რისთვისაც თავისი ბლოკის საყოველთაო მობილიზაცია მოახდინა და ყველა აქ ჩამოიყვანა. მან თავისი უტიფრი მოქცევით, არამც თუ არ შეიძინა ახალი მეგობრები, არამედ ბევრ ნეიტრალურ და საბჭოეთისადმი კეთილად განწყობილ ქვეყანას თვალი აუხილა და სინამდვილე დაანახვა.

კრემლის დიპლომატიის უდიდესი შეცდომა იყო და არის, რომ ლაზღანდარა ბუნების ხრუშჩოვი საერთაშორისო ორგანიზაციის ყრილობაზე გამოუშვა. ყოველ ადამიანს თავისი შინაგანი მოწოდება აქვს. შეიძლება ხრუშჩოვი, რუსეთისათვის „კარგი“ პარტიული მუშაა მაგრამ ეს არა კმარა იყოს სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. მას აკლია საზოგადოებრივ-ინტელიგენტური მანერები, რადგან დონბასელ პროპაგანდისტ ეს არა სჭირდებოდა, ხოლო სულიერი კულტურის ასათვისებლად დიკტატორის სავარძელში ჩაჯდომა არა კმარა. ამგვარ პიროვნების იერარხიული კიბის სათავეში მოქცევა უჩვეულო მოვლენა არ არის რევოლუციონური პერიოდისათვის. ლენინმა „დაჰკათ ინტელიგენციას“ ყიჟინით ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება, როდესაც ხრუშჩევისებური ბნელი და გაუნათლებელი მასა შურისძიების ინსტინქტმა გაიტაცა. მაგრამ საბჭოთა რუსეთი დიდი ხანია გაშორდა ამ პერიოდს და ის ნორმალურ იმპერიალისტურ ქვეყნის მდგომარეობას დაუბრუნდა. ამიტომ საჭირო იყო საერთაშორისო ყრილობაზე რუსეთს წარმოეგზავნა კულტურული პიროვნება, რომელიც ქვეყნიერებას „მოხიბლავდა საბჭოთა ინტელექტუალური მიღწევებით“, მაგრამ „კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების-ო“.

ხრუშჩოვი ვერც თვითონ მიხვდა და ვერც მისმა მრჩეველებმა ჩააგონეს, რომ უზდელობით და უწესობით თავისუფალ დემოკრატიულ ყრილობაზე ვერც თავის პოზიციას განამტკიცებდა და ვერც თავისი თავის პრესტიჟს გაზრდიდა. ის ვერ მიხვდა, რომ ქვეყნები, რომლებიც პატივსა სცემენ მოწინააღმდეგის აზრს და მას ღებულობენ, როგორც საკუთარი აზრის განვითარების წყაროს-მთლიანად უარყოფენ დიკტატური და ულტიმატური მეთოდების ხმარებას. ამიტომ წინასწარ უნდა ყოფილიყო ნათელი, რომ ის კაცობრიობის სიმპატიებს ვერ მოიპოვებდა და თავის დეკონსტრუქციული აზროვნებით ვერც თავის თავს გაზრდიდა და ვერც „თავის სამოთხეს“ მეგობრების რიცხვს გაუმრავლებდა.

თუმცა თავიდანვე საფიქრებელი იყო,რომ ტოტალიტარულ მეთოდში წარმოშობილი და დავაჟკაცებული ხრუშჩოვი ასე ადვილად ვერ გადავიდოდა პარლამენტარულ აზროვნებაზე და, მაშასადამე ადვილი იყო მისი შედეგების გათვალისწინებაც.

მაგრამ სურვილებისგან გატაცებულ მიამიტ დასავლეთელს მაინც ერთგვარი ილუზია შემონახული ჰქონდა და მისგან სახელმწიფოებრივი სიბრძნის ნატამალს მოელოდდა.

ხრუშჩოვის მარცხი, მისი სახელმწიფო მოღვაწის როლისათვის მოუმზადებლობა, ქვეყნიერების წინაშე მისი გაშავება და დამდაბლება ჩვენ სრლიად არ შეგვაწუხებდა, რომ ეს არ იყოს-სხვა ერთა შორის, ჩვენი ერის ტრაღედიის მიზეზიც.

**გ. ზალდასტანიშვილი.**

## სად არის ჩვენი ადგილი?

**დასავლეთის კლასიფიკაციის თანახმად რუ**სეთის მპყრობელობის ქვეშ მოქცეული ერები დაყოფილია ორ კატეგორიად: ე. წ. სატელიტები და საბჭოთა კავშირის არა რუსი ერები.

პირველ კატეგორიას მიაკუთვნეს ის ევროპიელი ხალხი, რომლებიც ბოლშევიკური რეჟიმის ქვეშ მოექცნენ მეორე ომის და მის შემდეგ პერიოდში.

მეორე კატეგორიის უმრავლესობა ისენი არიან, რომლებმაც 1917 წლის რევოლუციის შედეგად დანგრეულ რუსულ იმპერიას გაემიჯნენ და ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ხოლო, რომლებმაც დროთა ვითარებაში მოსკოვის ტირანებთან ბრძოლაში კვლავ დაჰკარგეს; რუსულმა იმპერიამ, ამ შემთხვევაში წითელმა კვლავ დაიპყრო და კვლავ მონობის უღელი დაადგა მათ.

ამ ორი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა ერთი-მეორისაგან ფორმალურად განსხვავებულია. სატელიტები, თითქოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და საბჭოთა კავშირთან განსაკუთრებული ხელშეკრულებები აკავშირებთ. არა რუსი ერები კი რესპუბლიკების, ან ავტონომიური ოლქების სახელწოდებით თვით საბჭოთა კავშირში არიან ჩაჭედილნი. ამ ორივე კატეგორიის ხალხების ფაქტიური მდგომარეობა თითქმის არაფრით არ განსხვავდება ერთი მეორისაგან, რადგან ორივეს ფლობს, განაგებს და თავის ნებასურვილს თავს ახვევს მოსკოვი.

სამაგიეროთ სხვადასხვანაირია დასავლეთის დამოკიდებულება ამ ორი კატეგორიის ხალხე[illegible]ან. მან არ სცნო სატელიტების მიტაცება მოსკოვის მიერ. რაც შეხება საბჭოთა კავშირის არა რუს ერებს, ესენი უკვე დაპყრობილნი [illegible] მოსკოვის მიერ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა (სხვადასხვა დროს) იცნეს საბჭოთა კავშირი და ამით თითქოს სცნეს კიდეც მათი ყაჩაღური მოქმედება. ამის წყალობით დასავლეთის ქვეყნებს შეუძლიანთ ოფიციალურად აღიარონ სატელიტების დამოუკიდებლობის აღდგენა და ამ საკითხზე ახდილად გამოთქვან თავიანთი აზრი. არა რუს ერებს კი მხოლოდ თანაგრძნობა გამოუცხადონ!

სატელიტებსა და არა რუს ერებ შორის დასავლეთის აზრი იმ მხრივაც განსხვავდება, რომ თუ პირველის მიმართ გარკვეული, მტკიცედ დამუშავებული აზრი და პოზიცია აქვს მეორეს მიმართ ასეთსავე სიმტკიცეს არ იცავს და ხშირად განიცდის ცვალებადობას.

არსებობს საერთო აზრი, რომ სატელიტები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის შეურიგებელ ძალას; მათ აქვთ დამოუკიდებელი ცხოვრების დიდი წარსული და ამიტომ კვლავ შესძლებენ თავის სახელმწიფოებრიობის აღდგენას, როგორც კი საბჭოთა კავშირის მონობისაგან თავს გაინთავისუფლებენ.

საბჭოთა კავშირის არა რუს ერებზე მსჯელობის გაურკვევლობა, უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთსა და იმავე დროს მათ სთვლიან „დაპყრობილ ერებათ“ და, ხშირად ეს ხელს არ უშლით, რომ ისენი ჩათვალონ საბჭოთა კავშირის განუყრელ ნაწილად და არა იშვიათად კიდეც საერთოდ „რუსებათ“ მოიხსენიონ. სთვლიან მათ ბოლშევიზმის მსხვერპლათაც და მის თანამგრძნობლათაც. ზოგიერთ წრეებში არსებობს აზრი: ხანგრძლივათ მოწყვეტილი თავისუფალ სამყაროს, საბჭოთა კავშირის არა რუსი ერები, შეეჩვივნენ მოსკოვის ბატონობას და კომუნისტურ სტრუქტურას და აღარ მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ და თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ, ცხადია არ შეგვიძლიან უარვყოდ ის ფაქტი, რომ შესაძლებელია არა რუს ერებშიც ერიოს იმისთანა ტომი, რომელსაც ეროვნული თვითარსებობის დაბალი შეგნება აქვს და არც ფიქრობს საკუთარ დამოუკიდებელ ცხოვრებაზე. არიან ისეთებიც, რომლებიც, მრავალ გარემოებათა გამო, ავტონომიაზე შორს არ მიდის მათი ანგარიში. არიან ისეთებიც, რომელთა დამოუკიდებლობაზე მხოლოდ ემიგრანტული წრეები ოცნებობენ, ხოლო ამასთან ერთათ არსებობენ ერები უდიდესი ისტორიული წარსულის და მაღალი კულტურის მქონენი, რომლებიც მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ და იძლევიან ყველა ნიშანს, რომ შესძლებენ ჯანმრთელ ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. ამათ შორის პირველი ადგილი საქართველოს უჭირავს. ეს არა მხოლოდ ჩვენი საკუთარი წარმოდგენით, არამედ იმავე უცხოელების დამოწმებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის შინა ვითარებაში ერკვევიან და მას მიუდგომლად აფასებენ.

შეუძლებელია საერთო დასკვნების გამოტანა და მისი შეფარდება ყველა არა რუს ერებთან. ესენი არ წარმოადგენენ ერთხალხოვან მასას. ამიტომ საჭიროა მათი ცალ-ცალკე შესწავლა და მათზე ცალ-ცალკე აზრის დამუშავება.

სწორედ ასეთივე მდგომარეობაა სატელიტებში. იქაც არიან საბჭოეთის შეურიგებელი მებრძოლი ქვეყნები, რომლებსაც მოსკოვმა წაართვა დამოუკიდებელი ეროვნული ცხოვრება და თავისი ბატონობა მათ თავს მოახვია. ამათ გასწვრივ არიან სატელიტები, სადაც ძალაუფლება მოსკოვმა შინა გადატრიალებით ჩაიგდო ხელში. ამგვარმა ხალხმა სახელმწიფოებრივი სიბრძნე უკანა რიცხვით გამოამჟღავნა. სატელიტებ შორის იმისთანა სახელმწიფოც ითვლება, რომლის გეოგრაფიული მდგომარეობა იდეალურია: საბჭოთა კავშირთან საზღვრავს არა საბჭოეთის მეგობარი ქვეყანა. მიუხედავათ ამისა მას არც ერთხელ არ გამოუჩენია ინიციატივა, რომ კომუნისტური მოსკოვის ბატონობისაგან თავი გაინთავისუფლოს.

ნუ თუ შეიძლება ამგვარ სატელიტურ ქვეყანას მისცენ უპირატესობა, ვიდრე საქართველოს, რომელიც ჩარიცხულია საბჭოთა კავშირის არა რუს ერთა შორის?

ყველა ზემო თქმულის შემდეგ ისმება საკითხი: თუ საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერები ორ კატეგორიად უნდა გაიყოს, სად არის საქართველოს ადგილი? ფორმალური მოსაზრებით „არა რუს ერებ“ შორის, თუ თანახმად მისი მდგომარეობის ნამდვილი ვითარებისა—სატელიტებ შორის?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გინდ მარტო ფორმალურ მოსაზრებებს დავეყრდნოთ. ჩვენი ადგილი სატელიტებშია. საქართველოს უჭირავს განსაკუთრებული მდგომარეობა და ამის წყალობით ის ძირეულად განსხვავდება სხვა არა რუს ერებისაგან. ჩვენ გვქონდა დამოუკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სად არის ჩვენი ადგილი?

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ბელი, სუვერენული სახელმწიფო, იურიდიულად ცნობილი უცხო ქვეყნების მიერ. შემდეგ რუსეთის სამხედრო ოპერაციებში დამარცხებული და მის მიერ დაპყრობილი. ამ მხრივ ჩვენ არაფერი გვანსხვავებს სატელიტებისგან. თუ ის არის დამაპრკოლებელი, რომ ძველად შევდიოდით რუსეთის იმპერიაში და ჩვენი დამოუკიდებლობა მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ აღვიდგინეთ, ამ შემთხვევაში ხომ ასეთივეა პოლონეთი და ბალტიის ქვეყნების მდგომარეობა, რომელთა სატელიტობა არავისათვის საეჭვო არ არის. ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მოსკოვმა ჩვენ ადრე მოგვაქცია ყურადღება და რამოდენიმე წლით ადრე დაგვიპყრო, ვიდრე ლატვია, ლიტვა და ესტონეთი.

რა პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ამას და რა განსხვავებაა საქართველოს დასავლეთი მიაკუთვნებს სატელიტობას თუ საბჭოთა კავშირის არა რუს ერებში იგულებს? დღეს, შეიძლება არცა აქვს არავითარი მნიშვნელობა, მაგრამ მომავლისათვის ეს შესაძლებელია დიდ მნიშვნელოვან საკითხად იქცეს.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნედ, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებში მთავარ როლს თამაშობს თვით ქართველი ხალხი და ის ფაქტი რა სიმტკიცითაც ის მას აწარმოებს. მიუხედავათ ამისა არ შეიძლება უარვყოდ საგარეო დახმარების და მხარის დაჭერის მნიშვნელობა.

არც ის გამოგვრჩა მხედველობიდან და მრავალჯერ აღვნიშნედ, რომ ვცხოვრობთ ეროვნული იდეის გაფურჩქვნის ეპოქაში. თავისუფალი, დემოკრატიული სამყარო ყოველმხრივ ეხმარება და ხელს უწყობს უცხო ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად მებრძოლ ძალებს. ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელს უწყობენ მთელ მსოფლიოში, თვით ისეთ ხალხებსაც კი, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ან სულ არ არიან მომზადებულნი, ან ძალიან სუსტად. რასაც ზოგ შემთხვევაში სამწუხარო შედეგიც კი მოაქვს. ალბათ ეს გარემოება თავისუფალ სამყაროს მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ იმ ერებს, რომლებიც მართლაც მომზადებულნი არიან დამოუკიდებელი ცხოვრერისათვის.

ამისათვის საჭიროა საქართველო დასავლეთის მიერ წინდაწინ იყოს ჩარიცხული იმ ქვეყნებ შორის, რომლებიც თავის სახელმწიფოებრიობის სიმწიფეში ეჭვ მიუტაელნი არიან და არავის მივცედ უფლება მოუმზადებლობის ეპიტეტი მოგვაკრას.

დ. შალიკაშვილი.

## რუსიფიკაციის ახალი საშუალება.

საქართველოში „სიმულაციის და სიზარმაცი"-ს ასალაგმავად სეკტემბრის 7-ს ხრუშჩოვის რუსეთმა გამოსცა სპეციალური კანონი. ამის ძალით ხელისუფლებას შეუძლიან ქუჩებში „უსაქმოდ მოხეტიალე" მოქალაქის დაპატიმრება და იმ ქალაქიდან, სადაც ის ცხოვრობს, ორი წლით მძიმე სამუშაოზე გადასახლება. ეჭვი არ არის ეს გადასახლება მოხდება რუსეთის მივარდნილ კუთხეებში არსებულ იძულებითი შრომის ბანაკებში, რომლითაც ხრუშჩოვი განაგრძობს „საბჭოთა სამოთხის" მშენებლობას.

იბადება კითხვა: მთავრობა, რომელიც საქვეყნოდ გაჰკივის, რომ მათში არ არის უმუშავრობა. როგორ მოხდა რომ ხალხი ქუჩებში უსაქმოდ დახეტიალობს და მათ ასამუშავებლად უკიდურეს ზომებს ღებულობენ?

ცხადია. იქ სადაც არ არსებობს მუშათა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები, იქ სადაც არ ხდება უმუშავართა აღრიცხვა, იქ სადაც სამუშაოს გარეთ დარჩენილ ადამიანს არ აძლევენ რაიმე დახმარებას და იქ სადაც პროფესიონალური კავშირები წარმოადგენენ მთავრობის დაწესებულებებს, მუშათა მდგომარეობაზე სწორი წარმოდგენა შეუძლებელია.

მართალია საბჭოთა ხელისუფლება ამას იმითა ხსნის, რომ თვით წესწყობილება არის მუშათა კლასის და მაშასადამე სახელმწიფოა მთლიანად მათი ინტერესების დმცველი და ცალკე ორგანიზაციები, ან აღარ არის საჭირო, ან ისენიც სახელმწიფოს მორჩილებაში უნდა იყვნენო. მაგრამ ისიც საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს არავისათვის, რომ ყველაზე დამონებული, ყველაზე გაყვლეფილი და უფლებააყრილი სწორედ „პროლეტარიატის და მუშურ-გლეხური" რეჟიმის ქვეშ იმყოფება მშრომელი მასა.

„პროლეტარიატის" დიქტატურის დამყარების პირველი დღიდანვე საბჭოთა ხელისუფლება სხვადასხვა გზით ჰქმიდა მონურ მუშა ხელს „უკლასო საზოგადოების" შექმნის მომიზეზებით სწარმოებდა ხალხის მასიური განადგურება: ყოფილ ოფიცრებს, სასულიერო წოდებას, თავად-აზნაურობას, ვაჭრებს, შეძლებულ გლეხობას, პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს და თვით საკუთარ პარტიულ ამხანაგებს მ[illegible]სრი გაავლეს და ამ ძალით შეიქმნ[illegible] შრომის ლეგიონი.

ოცდა ათი მილიონი პატიმარი შეეწირა „ტურკსიბის", „ამურ-ბაიკალ მაგისტრალი"ს, „მოსკოვ-ვოლგა" არხის და სხვათა მშენებლობას

1937 წლიდან. სტიქიური დაპატიმრების შეწყვეტის შემდეგ. სხვა მეთოდს მიმართეს იძულებითი სამუშაო ბანაკების შესავსებად.

გამოვიდა ბრძანება, რომელიც მუშა-მოსამსახურეს უკრძალავდა ნებისმიერ გამოეცვალა სამუშაო. ამით სამუდამოთ იყო მიჯაჭვული იქ სადაც მას ხელისუფლება მიავლინებდა. უნებურათ და თვითნებურად ადგილის დატოვებისათვის კი მკაცრად ისჯებოდა და იძულებითი შრომის ბანაკში ამოყოფდა თავს. ამავე კანონით სამუშაოზე პირველი დაგვიანებისათვის გაფრთხილებას მიიღებდა, მეორე დაგვიანებაზე კედლის გაზეთში გაკიცხავდნენ, მესამე დაგვიანებისათვის თვიური ჯამაგირის 25 პროცენტს გამოუქვითავდნენ. თუ დაგვიანება ექვს მიაღწევდა, ერთი წლის განმავლობაში, ჯამაგირის ნახევარს უქვითავდნენ. იგივე სასჯელი იყო საპატიო მიზეზის გარეშე, ერთი დღის გაცდენისათვის. ორი ან სამი დღის გაცდენისათვის კი აპატიმრებდნენ და ერთი წლით (და ზევით) იძულებით სამუშაოზე აგზავნიდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ცოლის, დედის, ან მამის გარდაცვალების გამო სამუშაო დღეები გააცდინა და უცებ ექიმის მოწმობა ვერ წარადგინა და ის დაატუსაღეს. ამისთანა შემთხვევაში ვისაც მოსარჩლე დროზე არ გამოუჩნდებოდა, გადასახლებას და იძულებითი შრომის ბანაკს ვერ ასცდებოდა.

აი რა მეთოდებით სპობდა და სპობს საბჭოთა ხელისუფლება უმუშავრობას და ჰქმნის უფასო მუშა ხელს.

ზემო დასახელებული ახალი კანონი ამავე მიზანს ემსახურება: თუ ვინმე ამათუიმ მიზეზით უმუშავრად დარჩა და გარეთ გავიდა მას დაუყონებლივ გამოაცხადებენ „ზარმაცად" და თავს უკრავენ კატორღაში. მაგრამ საბჭოთა კავშირში ხომ აღარ არის უმუშავრობა, მაშ რას ებრძვის კრემლი და რასა სპობს ამ ახალი კანონით. რომლის ძალითაც კიდეც ატუსაღებენ და შრომის ბანაკებში აგზავნიან?

ასე უსინდისოდ, ასე ცინიკურად საბჭოთა ხელისუფლებას არასდროს არ განუმჟღავნებია თავისი ბოროტი ზრახვები და საბჭოეთში მუშის და საზოგადოთ პიროვნების დამონება!

უმუშავრობა საბჭოეთში მართლაც არ არსებობს, რადგან ზედმეტ მუშა ხელისათვის „საბჭოთა სამოთხეში" არის იძულებითი შრომის ბანაკები და ხშირ შემთხვევაში თავისუფალ მუშა ხელს ხელოვნურად უქმნიან ჯოჯოხეთურ პირობებს, რათა ის მონა მუშად აქციონ.

[illegible] ახალი კანონი აშკარად ღაღადებს საბჭოთა კავშირიში პიროვნების დამონებას. ისედაც გაუბედურებულს და უმუშავრად დარჩენილს უკრძალავენ მზის სინათლეზე გამოსვლას და სუფთა ჰაერით სუნთქვას. სჩანს უმუშავრად დარჩენილი ადამიანი ან თავის ნებით უნდა ჩაიკეტოს სახლში, ან გარეთ უპატრონოთ დარჩენილი ძაღლის ბედი გაიზიაროს.

ქართველი ხალხი ზარმაცი და ფუქსავატი არასოდეს არა ყოფილა. გრძელ და მრავალ ნახულ ისტორიის მანძილზე თუ ერმა თავისი სული, ელფერი და მეობა შეინარჩუნა, ყველა სხვა მიზეზებთან და თვისებებთან ერთად მის მუყაით და დაუღალავი შრომითაც აიხსნება.

ვინაიდან ახალი კანონი მხოლოდ საქართველოს ეხება, ცხადია გარდა სოციალურ პირობებით გამოწვეული უმუშავრობისა, რომელიც ყოველ რესპუბლიკაში არსებობს და რომელსაც კრემლი ძველი,სტალინური მეთოდებით ებრძვის, ამიტომ გვჯერა რომ ჩვენი ქვეყნისათვის ამ კანონს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ექნება.

აქ საქმე უნდა გვქონდეს ძველ რუსულ შოვინისტურ პოლიტიკასთან—საქართველოს გადაგვარების ცდასთან. ეს მეფის რუსეთმა საუკუნე სახევრის წინ დაიწყო და ამას მუყაითად და ბეჯითად აგრძელებს „პროლეტარული რუსეთი". უკვე დიდი ხანია მოსკოვმა შემოიღო წესი, რომ ახლად კურს დამთავრებული ინჟინერი, ექიმი და სხ. უნდა „პრაქტიკისთვის" რუსეთში წასულიყვნენ, ხოლო ამავე დროს ცნობილია, რომ „სპეციალისტების ნაკლულოვანების გამო" საქართველოში რუსებს ასახლებენ. სჩანს ამგვარმა ცდამ კრემლს სასურველი შედეგი ვერ მისცა და ეს ახალი კანონი ქართველების გარუსების პროცესის დასაჩქარებლად არის მოგონილი.

საქართველოს ამგვარი დევნის და გადასახლების შემდეგ უფრო გახშირდება მუშა ხელის ნაკლულოვანება და რუსების მასიური ჩამოსახლებით შეივსება იგი და თუ ეს ასე გაგრძელდა „სოციალისტურ, მოსახლეობის რეალური პრინციპის თანახმად ქართული მიწა წყალი რუსების კუთვნილებათ გადაიქცევა...

მაგრამ, როგორც მეფის რუსეთს, ისე პროლეტარულს ერთში ეშლებათ ანგარიში და ერთი რამ ავიწყდებათ, სახელდობრ: ფიზიკის კანონი, რომელიც ამტკიცებს, რომ დიდ დაწოლას, დიდი წინააღმდეგობა მოსდევს.

„ბევრნი წასულან, ბევრნი მოსულან,
„კვლავ ბევრნი წავლენ და მოვლენ კვლავა,
„მაგრამ ქართველი იქვე დარჩება,
„მაგრამ ქართველი არსად არ წავა.

ი. მენთეშაშვილი.

## აბრამ ლინკოლნი.

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი"-ს 39 ნომ).

პოლიტიკა ხელოვნებაა,. რომელიც უშვებს შესძლებლობას, რომ პოლიტიკოსები ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ვერ გარდაქმნიან სამოთხედ, მაგრამ მათი ცდა უნდა იყოს მიმართული რომ იგი არ გადაიქცეს არც ჯოჯოხეთად.

ფრანკლინ პირსისათვის ეს რეალური გაგება არ არსებობდა. ჰერბერტ აგარის აზრით, ის პრეზიდენტად აირჩიეს იმიტომ, რომ „მას არა

## ივანე ჯავახიშვილი. (1876-1940)

(გარდაცვალების ოცი წლის თავის გამო.

18 ნოემბერს 1940 წელს, კათედრაზე, ლექციის კითხვის დროს გული შეუწუხდა ივანე ჯავახიშვილს და ის გარდაიცვალა თავისი სიცოცხლის ძეგლში—ქართულ უნივერსიტეტში იქვე დაიმარხა უნივერსიტეტის მიწაში, პეტრე მელიქიშვილის გვერდით.

ივანე ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი და მათთან მდგომნი იყვნენ დამაარსებელნი ქართული უნივერსიტეტისა. ქართული უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა 1918 წელს თბილისის თავად-აზნაურობის გიმნაზიის შენობაში. რომელიც იყო გაგეგმილი და აგებული იდუმალი იმედით—გამოსადეგი გახდეს უნივერსიტეტისათვის და რაც აღსრულდა.

შეგირდი და ხალხი უნივერსიტეტს უძახდა ქართულ უნივერსიტეტს. როგორც მის შენობაში ყოფილ გიმნაზიას უძახდნენ ქართულ გიმნაზიას. იმ ხანაში. ამ ქართულის ხსენებას ჰქონდა თავისი ღრმა და გასაგები მნიშვნელობა. ოფიციალური სახელწოდება მისი იყო „ტფილისის უნივერსიტეტი", რაც ლათინურად ეწერა მის ლამაზ ბეჭედს, რომელზედაც კოხტად გადახვეული იყო, სიმბოლოდ ჰუმანიზმისა და სიყვარულის, შველი მის მკერდსა მიკრული ნუკრით. დღევანდელი სახელწოდება მისი არის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული მოთხოვნილებით უნივერსიტეტის პირველ რექტორად დაინიშნა პეტრე მელიქიშვილი, გამოცდილი თავისი ჰასაკით, მეცნიერობით და პროფესორობით, მერე მისი ადგილი თვითონ ივანე ჯავახიშვილმა დაიკავა. ის იყო თავისი სტუდენტობის დროიდან მაცადინი და დაუღალავი მებრძოლი ქართული მეცნიერებისათვის და ახალგაზრდობიდან ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე. მომწიფებული, ის გახდა ამ იდეის ენერგიული გამავრცელებელი, დამცველი და აღმასრულებელი; ის არის მამა, მშობელი და დამაარსებელი ამ ქართული სიბრძნის და მეცნიერების ახალი კერის. თბილისის უნივერსიტეტი არის ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლის ძეგლი; ქართველი ერისათვის კი არის მარადიული ძეგლი მისი თავისუფლების და დამოუკიდებლობის. უნივერსიტეტის დაარსების თარიღიც არის ძველი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის წელიწადი.

ოცი წელიწადია რაც ვანო ჯავახიშვილმა მიატოვა თავისი ერი და შეგირდები. ვინ იცის რისთვის დადუმდა ის კათედრაზე, რატომ გასკდა მისი სპეტაკი გული, რა აღელვებდა, რა აღშფოთებდა მას?—1940 წელი იყო დრო, როცა საბჭოთა კავშირი გახდა მოკავშირედ გერმანიის, რომელსაც უკვე ჰქონდა დაპყრობილი საფრანგეთი... თებერვალს 1921 წელს კი, როცა ის იყო რექტორად და ნამდვილ ხელმძღვანელად უნივერსიტეტისა, მან კარგად იცოდა რა იყო სათქმელი,—მაშინ შორიდან ისმოდა ზარბაზანთა გრიალი და მან მიმართა თავის სტუდენტებს: „გული უნდა რკინისა და ფარი იყოს ხისაო".

ივანე ჯავახიშვილი ეკუთვნოდა სამოცდაათიან წლებში დაბადებულ თაობას, რომელსაც კარგად ესმოდა მსოფლიოში და რუსეთში არსებული მდგომარეობა და რომელმაც კარგად იცოდა აუცილებლობა ცვალებადობის და რეფორმების.

ის ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელიც სწავლობდა იმ მიზნიდ, რათა მიეცეს ქართველ ერს და ქართულ საზოგადოებას მეცნიერულად დამუშავებული საფუძველი ეროვნული მოთხოვნილებების და ეროვნული მეობის დასაცავად.

ამ წრემ კარგად იცოდა საშიშროება უვიცთა, ანუ ცალმხრივ და ზერელ ცოდნაზე აგებული ბრძოლის ხიფათი და მეტადრე საშინაო უკმაყოფილების, საშინაო ანგარიშების გასწორების და ვნებითი გადაჭარბების საშინაო განხეთქილების—სასიკვდილო მუქარა. ამ წრეს სურდა საგარეო და საშინაო მტრების წინა აღმდეგ, ქართველ ხალხს ჰქონდეს ეროვნული მთლიანობის სხეული.

თავის ოჯახური მდგომარეობით ივანე ჯავახიშვილი ეკუთვნოდა გვარს, რომელიც ძველი დროიდან არის ნახსენები ქართველი ერის ცხოვრებაში, დარიგების წიგნში, გუჯრებში და 1832 წლის შეთქმულებაში, როგორც მონაწილე ქართველი ერის მმართველი საზოგადოების. მისი მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი. იყო ღვიძლი შვილიშვილი პოეტ ვახტანგ ორბელიანისა (1812-1890) ივანე ჯავახიშვილი იყო ქვისლი ცნობილი პატრიოტის და მოღვაწის კიტა აბაშიძეს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანასტასიას და თეკლე. თეკლე შემთხვევითი სახელი არ იყო;—ეს იყო ამონარეკი გვარეული ტრადიციის და სულიკვეთების. ვახტანგ ორბელიანის დედა იყო ბატონიშვილი, ირაკლი მეორის ასული. თეკლე ბატონიშვილი (1776-1847), მისი ვაჟები, მწერალი ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869), დიმიტრი და პოეტი ვახტანგი. ეკუთვნოდნენ იმ თაობას, რომელსაც თავისთავზე ჰქონდა ნაცადი დასაწყისი „შემაერთებელი" რუსეთის პოლიტიკის. სიბრიყვე და მუხანათობა რუსეთის მოხელეების, ძარცვა-გლეჯა და უნამუსობა, პირადი დამცირება და შეურაცყობა, ცოცხლად დარჩა აღბეჭდილი 19-ტე საუკუნის ბოლომდე. ამ გვარეულობის შთამომავლობაში, საიდანაც ივანე ჯავახიშვილმა აიყვანა ცოლი.

გარდა ქართული უნივერსიტეტისა, რომელიც თითქოს იყო ახალი ამბავი, მიუხედავათ ძველი ქართული აკადემიის არსებობისა, ივანე ჯავახიშვილს აწუხებდა 1811 წელს მომხდარი დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიის მოსპობის წარმოუდგენელი უსამართლობა. მაშინ უკვე იყვნენ სხვა და სხვა ხელსახლები ნიშნები ამისათვის ნიადაგის მომზადების შესაძლებლობის და არც დიმიტრი ყიფიანის თავდადებამ უკვალოდ ჩაიარა.

ივანე ჯავახიშვილი სტუდენტობის დროიდან იღებს ამ საქმიანობაში მონაწილეობას; 1904 წელს. უკვე მეცნიერული ხარისხით აღჭურვილი, ის ათავსებს რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს ოფიციალურ უწყებაში გამოკვლევას. „სოციალური ბრძოლისა და დემოკრატიული რეფორმების შესახებ მე-9-11-ს. ქართულ ეკლესიაში".

თავისთავად ცხადია, ივ. ჯავახიშვილს, საერთოდ ჰქონდა იმედი რუსეთის იმპერიის დემოკრატიული რეფორმების. მაგრამ ის ზრუნავდა ქართული ეკლესიის აღდგენისათვის, არა მარტო ისტორიული უსამართლობის გასასწორებლად. არამედ ამაში ხედავდა პრაქტიკულ საშუალებას ქართული ძველი ეთიკის დასაცავად. ის ბეჭდავს გაზეთ „ივერია"-ში, 1906 წელს, შრომას, სათაურით: „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში", რომელიც მხოლოდ რამოდენიმე თვით წინუსწრობს, და ვერ შეუშლის, ილია ჭავჭავაძეს მკვლელობას.

ივ. ჯავახიშვილის მთავარი ღერძი, ქვაკუთხედი მისი აზროვნების და მიზანი მისი ცხოვრების არის „ქართველი ერის ისტორია", რომელსაც ის შვილური სიყვარულით უძღვნის თავის მშობლებს. პირველი წიგნის, პირველი პავლე თუმანიშვილის გამოცემა, არის 1908-წლისა.

მასალები ისტორიისათვის და ქართული ისტორიოგრაფია, სხვა და სხვა სახით, ძველია, როგორც პირველი საზოგადოებრივი წყობი-

ფერი არ გაეკეთებინა. და აირჩია იმ ხალხმა, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ არარაობა სიკვდილის დარია“. პირსის დროს ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი კომპრომისის ნიადაგზე უმრავლესობის გაერთიანება. მაგრამ პირსმა ვერ გამოიჩინა გამჭრიახობა და ამ მიმართულებით არავითარი ნაბიჯი არ გადადგა. ამას მოჰყვა ისტერიული მდგომარეობის გართულება და გაღრმავება: ამას მოჰყვა შეურიგებელ და გაბოროტებულ ელემენტების გაძლიერება, რომელმაც თავი უფრო ძლიერ იჩინა „ტრანსკონტინენტალური“ რკინის გზის გაყვანის საკითხში. აქ გაბოროტებულ და უკიდურესად მოაზროვნე პიროვნებების წინაშე დაისვა არა საქვეყნო ინტერესები, არამედ ის, თუ რომელი მხარე უფრო ადრე უნდა გამდიდრებულიყო: ჩიკაგო თუ ახალი ორლეანი?

საკითხი იყო დასმული: რკინის გზისსათვის მიმართულება მიეცათ ახალი ორლეანიდან ვიკსბურგისაკენ და იქიდან ტექსასი, თუ გაეყვანათ ჩიკაგოდან ნებრასკა და სოლტ ლეიკ სიტით სან ფრანცისკოში. მისისიპის წარმომადგენელი ჯეფერსონ დევისი, რომელიც ამ პერიოდში სამხედრო მინისტრი იყო, მხარს უჭერდა პირველ პროექტს. ილინოის სენატორი სტივენ დუგლასი (ლინკოლნის ცოლის ყოფილი მოტრფიალე) მეორეს იცავდა. ორივე ესენი იყვნენ დემოკრატები და მას შემდეგ, რაც 1852 წელს დაირღვა ვიგების პარტია, დემოკრატიული პარტია გადაიქცა სამხრეთის და ჩრდილოეთის შემაერთებელ მთავარ ძალად. საუბნო ინტერესების დაპირდაპირებამ ეს ძალაც საფრთხეში ჩაგდო. ამ შემთხვევაში მდგომარეობის ხსნა მხოლოდ პრეზიდენტს შეეძლო მაგრამ ის ამაშიც არ ჩაერია.

თუ გზას ჩიკაგოდან გაიყვანდნენ, რომელიც 1850 წ. ჯერ ისევ სოფელი იყო, უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნებოდა შექმნად ადგილობრივი მმართველობები მისურის თითქმის დაუმუშავებელ და დაუსახლებელ ტერიტორიაზე, (მის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაპირებზე), რომელიც ცნობილია ნებრასკის სახელით. ცხადია, სამხრეთელი დეპუტატები ნებრასკის ორგანიზაციას და მის გაძლიერებას ხელს არ შეუწყობდნენ და ამიტომ სენატორმა დუგლასმა, უპირველეს ყოვლისა, ამის წამალი მოიგონა. 1854 წ. იანვარში მან შეიტანა წინადადება, რომ გაუქმებულიყო მონათმფლობელობის მისურის შეთანხმებით მიღებული კანონი.

დუგლასის წინადადება გულისხმობდა ორი ტერიტორიის ჩამოყალიბებას: ნებრასკის და კანზასის. მოსახლეობას უფლება ეძლეოდა თვით გადაეწყვიტა მონათმფლობელობის საკითხი, თანახმად „სახალხო საუვერენიტეტის“ პრინციპისა. როგორც ჩვენ უკვე დავინახედ, იუტა და ახალი მექსიკა სწორედ ამ საფუძველზე ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩრდილოეთმა იცოდა, ამ უწყალო ტერიტორიაზე შეუძლებელი იქნებოდა პლანტაციური მეურნეობის წარმოება და მაშასადამე მონათმფლობელობასაც გასაქანი არ ექნებოდა. მაგრამ რათა რკინისგზის ჩიკაგოზე გაყვანის გეგმისათვის სამხრეთის მხარის დაჭერა დაეზღვია, დუგლასმა ეს წინადადება შესთავაზა იმ ტერიტორიებს, რომლებზეც მონათმფლობელობა შესაძლებელი იყო.

სამხრეთელები ამას გაჰყვნენ. მათ დაარწმუნეს პრეზიდენტი, რათა მას მიემართა თავისი ადმინისტრაციის ძალა კანზასის და ნებრასკის სასარგებლოდ და შეეცვალა მისურის კომპრომისი. აქ სამხრეთმა ძალიან ყალბად წარმოიდგინა ჩრდილოეთის ძალა და მისი ახალ გარემოებასთან ურთიერთობა ისევე, როგორც ვერ გაითვალისწინა თვით დუგლასმა, რომელიც მოხერხებულ და ჭკვიან პოლიტიკოსათ ითვლებოდა. ალენ ნევინსის ცნობით „ამისთანა ადამიანისთვის ძნელი იყო გაგება თუ რა მრისხანებით შეხვდებოდა თავისუფლების მოყვარე ჩრდილოელი მილიონები იმ გარემოებას, რომ დასავლეთის, თითქმის ნახევარი გადაქცეულიყო მონების ქვეყნად... როცა აღელვების ტალღებმა დუგლასამდე მიაღწია ის გაკვირვებული დარჩა. მორალურ საფუძველ მოკლებულ ადამიანისათვის უცნობია ის ფაქტი, რომ ისტორიაში გარდაუვალ და დაუმარცხებელ მოვლენათა წარმომშობი ყოველთვის ზნეობრივი და მორალური პრინციპებია“.

ჩრდილოელების გულისწყრომა იმაში გამოიხატა, რომ თითქმის ყველგან სწვავდნენ დუგლასის ჩუჩელას. ამ კანონის მოწინააღმდეგეები, რომლებიც მალე რესპუბლიკანურ პარტიაში გაერთიანდნენ, ყალიბდებოდნენ ყოველი სოფლის ეკლესიაში, სასამართლოს დარბაზებში—მდინარე ოჰაიოს ჩრდილოეთ ნაპირებზე. მაგრამ პარტიული ორგანიზაციით გამაგრებულმა დუგლასმა შესძლო თავისი პროექტის კონგრესში გაყვანა, რის შემდეგაც ტრანსკონტინენტალური რკინის გზის აღმოსავლეთ სადგურათ ჩიკაგო გადაიქცა. მაგრამ-ო ამბობს ისტორიკოსი— „თვით მიწით სპეკულიანტებიც კი, რომლებიც ამ შემთხვევის გამო უნდა გამდიდრებულიყვნენ, შეკრთებოდნენ თუ წარმოიდგენდნენ რა საფასურით იყო ეს მოპოვებული“.

დუგლასი გამოფხიზლდა და მდგომარეობის სირთულე წარმოიდგინა, როდესაც ის კონგრესში გამარჯვებული დაბრუნდა ილინოისში და იძულებული გახდა ეპასუხა აბრამ ლინკოლნისათვის, რომელიც მზათ იყო დაერღვია მრავალი წლების სიჩუმე.

ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანი და მომენტი ერთი მეორეს შეხვდნენ.

ქვეყანას მობეზრდა მჭერმეტყველობაში გახვეული ბუნდოვანობა. ეს საკმარისად ნახეს კანზას-ნებრასკას გამო წარმოებულ კამათში. ის ეხლა მოითხოვდა უბრალო, მაგრამ ზნეობრივ განმარტებას, თუ რაში იყო ამ გარდაწყვეტილების შეცდომა და როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფალი შტატების პოზიცია. ხალხი ელოდდა ამ განმარტებას არა თავისთავზე შეყვარებულ მჭერმეტყველისაგან, არამედ ზომიერ და გონიერ მოაზროვნეებისაგა.

ლინკოლნის მთელი ცხოვრება მომზადება იყო ამ ამოცანისათვის და რადგან ეს ჯვარი აიკიდა, კიდეც უნდა ეზიდა გოლგოთამდე.

1854 წელში ლინკოლმა ორჯერ აუხსნა თავის მეზობლებს თუ რატომა სთვლიდა დუგლასის წინადადებას „უზნეოთ და უგულოდ“.

„მე არაფერი მაქვს სამხრეთელების საწინაალმდეგო. ისენი ისე იქცევიან, როგორც ჩვენ თვითონ მათ ადგილზე მოვიქცეოდით. იმათში რომ მონათმფლობელობა არ არსებობდეს, ისენი მას დღეს არ შეიტანდნენ. ის რომ დღეს ჩვენში არსებობდეს არც ჩვენ დავთანხმდებოდით მის დაუყონებლივ შეცვლას... როგორიც არ უნდა უფლება მომენიჭოს მე არ ვიცი ეხლა როგორ შეუფარდო ის თანამედროვე ვითარებას. მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს ჩვენ თავისუფალ ტერიტორიაზე მონობის დაშვებას, როგორც ვერაფრით გავამართლებთ აფრიკულ ტყვეებით ვაჭრობის წახალისებას.

მაგრამ კანონი ნებრასკაზე წარმოდგენილია როგორც ღონისძიება კავშირის გადასარჩენად რასაკვირველია მეც კავშირის გადარჩენის მომხრე ვარ. მაგრამ მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ საშუალება რომელსაც მე ვხმარობ ემსახურება მიზანს. ჩემი აზრით ნებრასკას შესახებ მიღებულ კანონში სწორედ ეს არ არის წარმოდგენილი. ამაში არ გამოსჭვივის გადარჩენის სული. პირიქით, ეს გაუარესებაა იმ დავის, რომელიც კავშირის შემონახვას ემუქრება... ყველა საშუალებათა შორის ვერც ერთს ვერა ვხედავ, რომელსაც შეუძლიან მონობის საკითხში ისე დაგვაშოროს, როგორც მისურის კომპრომისის გაუქმებამ. გააუქმედ მისურის კომპრომისი, გააუქმედ ყველა კომპრომისები, გააუქმედ დამოუკიდებლობის დეკლარაცია, გააუქმედ მთელი წარსული ისტორია, მაგრამ ვერ შესძლებთ ადამიანის ბუნების შეცვლას. გულის სიღრმეში მაინც იგრძნობთ, რომ მონობის გავრცელება უსამართლობაა და [illegible] სიღრმის გადმოცემისაგან თავს ვერ შეიკავებს ენა და ამეტყველდება იგი...

იმისთვის (მხედველობაში ჰყავს სენატორი დუგლასი) თავისუფალ შტატებში უნდა შევიტანოთ თუ არა მონათმფლობელობა, ისევე სულ ერთია, როგორც მისი რომელიმე მეზობელი მოიყვანს თამბაქოს, თუ მეცხოველეობას მიჰყვება... მაგრამ კაცობრიობის უმრავლესობა სულ სხვა გვარად ფიქრობს; ის მონობას თვლის უდიდეს მორალურ სიბოროტედ და მისი საწინააღმდეგო გრძნობა მარადიულია და არა წარმავალი. ეს ჩადებულია სამართლიანობის გრძნობის საფუძველში და ამიტომ არ შეიძლება მისი ზერელე შეხება.

ამ სიტყვებში იყო ის ახალი განცდა, რომელსაც ქვეყანა მოელოდდა. რამოდენიმედ მაღალი და დიდ მნიშვნელოვანი, ვიდრე ემერსონების მჭერმეტყველობა, რომლებიც სამხრეთელებს ველურებს ეძახდნენ. ჩვენ კვლავ გვაგონდება სენდბურგი, რომელიც ამბობს: ლინკოლნი ისე ელაპარაკებოდა თავის აუდიტორიას თითქოს თანამგზავრთან მსჯელობს და აზრსა სცვლის, რომელიც მოუმზადებლათ ხვდება ყოველ შეკითხვას და წარმოშობილ მოვლენას და რაც მთავარია—ლაპარაკობდა მორცხვად და თავმდაბლად. მაგრამ მას მტკიცედ სწამდა, რომ მონობის გავრცელება არის უდიდესი სიბოროტე და ყოველი მსმენელი გულის სიღრმეში მას ეთანხმებოდა. ლინკოლნს სწამდა, რომ ზოგი-ერთი ჭეშმარიტება მარადიულია და ისენი იდებიან საფუძვლად ქვეყნიერების კეთილმოწყობას და ამიტომ არც შესაძლებლად მიაჩნდა ჭეშმარიტების კანონებით გამოცვლა. ბუნებრივი კანონების რწმენაზე დაშენდა ეს ქვეყანა. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ეს აშკარად არის გამომჟავნებული, რომელსაც ლინკოლნი თავისი პოლიტიკის საფუძვლად სთვლიდა.

ლინკოლნი ყოველთვის ეძებდა ისტორიის გარდაუვალ კანონებს, რათა მათთვის ერთგულად ემსახურა.

(გაგრძელება იქნება.)

**არ. დონაური.**

---

„ქართული აზრის“ რედაქცია და ეროვნული ერთობის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით **აუწყებს ქართლ საზოგადოებას, რომ ამა წლის ოქტომბრის 8-ს, ხანგრძლივი ავადმყოფო**ბის შემდეგ გარდაიცვალა საზოგადოების დიდი მოამაგე

**კირილე გურგენიძე.**

---

„ქართული აზრი“-ს რედაქცია და ეროვნული ერთობის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პარიზში (საფრანგეთი) გარდაიცვალა

**სიმონ კვიტაშვილი.**

სამძიმარსა და თანაგრძნობას უცხადებთ მის შვილებს, რძლებს, სიძეებს და შვილიშვილებს

---

ლება ქართველი შტოს ხალხების. შემდეგში ქართულ ისტორიოგრაფიას აქვს თავისი განსაკუთრებული ტრადიცია. ის არის თითქმის ანონიმური ხასიათის და იწერება ერის მთავრის, მთავრის ანუ მეფის კარგზე. იქვე ხდება მისი დროგამოშვებითი შემოკლება, გაგრძელება, განახლება. ბაგრატიონის მიერ გაერთიანების ხანიდან ის ატარებს მხოლოდ ერთს სახელწოდებას „ქართლის ცხოვრებას“. ძველი ტრადიციის ძალით ის განიცდის დროგამოშვებით შევსებას და გადამუშავებას. ამგვარი ლოგისტიკური მიდგომა დასაბუთებულად დასაშვები გახდა მხოლოდ მას შემდგომ, რაც დიმიტრი ბაქრაძემ (1827-1890) 1885 წელს აღმოაჩინა „მარიამ დედოფლის ვარიანტი“, რომელიც ე. თაყაიშვილმა გამოსცა 1906 წ. და ივ. ჯავახიშვილი მაშინ მას სთვლიდა პირველ შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებათ ქართლის ცხოვრების.

თანამედროვე ქართული ისტორიის მეცნიერობის ტრადიცია მაინც არ იწყება ივ. ჯავახიშვილისაგან, არამედ თეიმურაზ ბატონიშვილისაგან (1782-1846). თეიმურაზს ჰქონდა მიწერ-მოწერა ოსმალეთში გახიზნულ ორ იმერეთის ბატონიშვილთან; ერთი მათგანი, ტარიელი, ბედზე გახდა წევრად ოსმალეთის საელჩოსი პარიზში, სადაც მიემართა ახალგაზრდა ბიზანტიოლოგი მ. ბროსე, დაინტერესებული, მაშინ ახალ აღმოჩენილ, „ტრაპეზონის ქრონიკით“. აქედან მოხდა დაახლოვება თეიმურაზის და ბროსეს ჩამოსვლა პეტერბურგში 1831 წ. თვით თეიმურაზის მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში თითქოს დღემდე საკმარისად გაშუქებული არ არის. მთავარ ქართულ წყაროდ რეიმურაზის და ბროსესი გახდა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელმაც დაწერა თავისი „საქართველოს ისტორია“ მოსკოვში 1743 წელს. უკვე ბროსემ გაასწორა რამოდენიმე ვახუშტის შეცდომა; მერმე თედო ჟორდანიამ ე. თაყაიშვილმა და სარგის კაკაბაძემ აღნიშნეს ვახუშტის ბევრი უსწორობა. ივ. ჯავახიშვილი როცა ლაპარაკობს „სწავლულთა კაცთა“ შესახებ, რომელნიც ეგნატაშვილის ბერის მეთაურობით შეადგინეს ვახტანგ მეფისათვის, ცნობილი „ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების გაგრძელება“, ამბობს ვახუშტზე: „თავისი ბასრი კრიტიკით ვახტანგესეული კომისიის გაგრძელების, ბევრი შეცდომა გამოამჟღავნა და ცნობების კრიტიკული განხილვის აუცილებლობის ცხად ყოფით ქართულ საისტორიო მწერლობას საუკეთესო მაგალითი და სახელმძღვანელო აზრი მისცა“-ო. მაგრამ თვითვე ბატონიშვილი ვახუშტი, სრულისა და გულუბრიყვილო ნდობით, ეპყრობა ყველაფერს, რასაც საბუთის სახელი ეწოდება. სწორედ ამან ჩაადენინა მას მრავალი შეცდომაო“.

რაც ანსხვავებს ივ. ჯავახიშვილს სხვა ქართველ ისტორიკოსებისაგან და ანიჭებს მაგას განსაკუთრებულ მეთაურობას ქართულ კვლევა-ძიებაში, ეს არის მისი ჭეშმარიტობის მაძიებლობა, სრული მიუდგომლობა და უდიდესი სიფრთხილე. ამ განსხვავებაზე ის თვითონ ამბობს: „მთავარი განსხვავება მეთოდოლოგიური ხასიათისაა. ყოველი წყარო, მათ შორის საბუთებიც, აუცილებლად ჯერ წინასწარ ყოველმხრივ უნდა იყოს შესწავლილ-შეფასებული და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იყოს და რომ არაფერი თავის და თავად ცხადად და დამტკიცებულად არ უნდა იქმნას მიჩნეული“-ო.

მთელი თავისი მეთოდოლოგია ივ. ჯავახიშვილმა გააშუქა თავის შრომაში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინად და ეხლა“. (1916-1921 წწ.)

პატიოსანი შრომა, მოთმინება და ბეჯითი დაკვირვება მუდამ იღებს ნაყოფსა; როგორც დიმიტრი ბაქრაძეს ეღირსა მარიამ დედოფლის ვარიანტის გამოჩენა, მოსე ჯანაშვილს—ვახტანგისეული გაგრძელების პოვნა, ისევე ივ. ჯავახიშვილს ჩაუვარდა ხელში, ჯერ 1913წ. ანა დედოფლის, მარიამ დედოფალზე ძველი, ვარიანტი და 1923 წელს კი უდიდესი მნიშვნელობის ვარიანტის ნაწილი, რომელიც 1731წ. (და მაშასადამე ვახუშტის ისტორიამდე) გადაწერილი იყო რუსეთში. გადამწერი არის ერაჯ დათუნას ძე ჭალაშვილი, რომელმაც უკვე გაარუსა და გადათარგმნა თავისი გვარი და გახდა გერასიმ დავიდოვიჩ ლესნიკოვ. ამაზე ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ვახუშტს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულება სრულად და არა ჩანართების სახით უნდა ჰქონოდა“-ო. ივ. ჯავახიშვილს მუდამ ახასიათებდა ოპტიმიზმი და რწმენა და ამიტომ მაგას აქვს იმედი ჭალაშვილი-ლესნიკოვის შრომის მეორე ნაწილი და სხვა მასალები „რუსეთში უნდა ყოფილიყო გადატანილი და შესაძლებელია სადმე ახლაც გადარჩენილი იყოს“-ო. დღემდე გავრცელებული, ალბათ რუსული წყაროდან, ზეპირი გადმოცემით, ყველა ვახტანგ მეფის მიერ, 1724 წელს, რუსეთში გატანილი უამრავი საბუთი და საისტორიო მასალა დაიღუპა 1812 წელს ხანძარში, ნაპოლეონის მიერ მოსკოვის აღების დროს. ამ საბუთების სიმდიდრე მტკიცდება ვახუშტის გეოგრაფიითაც, რომლის შემწეობითაც, დღესაც შეიძლება ქართული მიწების ბილიკ-ბილიკად გავლა.

ცხადია, ივ. ჯავახიშვილმა უდიდესი ყურადღება მიაქცია ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობას, რომელიც იწყება პრე-ისტორიიდან, როცა სომხობა, როგორც მოწინავე ტალღა ინდო-ევროპიული სამხრეთიდან დაწოლისა, იკავებდა ქართული მოდგმის სახელმწიფოებს და ითვისებდა მათ კულტურულ ნაშტს მმართველი საზოგადოება—ახალ დაარსებულ სახელმწიფო-ერთეულების, როგორც ეს ყველგან ხდებოდა და ხდება, იყო ნარევი დამპყრობელის და დაპყრობილის. ნიკო მარის ტერმინოლოგიით თვით სომხურ ენაშიდაც ბევრი „იაფეტური“ ელემენტია.

დიდი ქონების პატრონი, ლაზარევი, რომელიც თავის თავს სომხად თვლიდა, მოვიდა რუსეთში ინდოეთიდან და მან დაარსა სომხურ-ქართული ენის ფილოლოგიის სასწავლებელი, რომელიც ჯერ ატარებდა „ლაზარევის ინსტიტუტის“ სახელწოდებას და მერმედ აღმოსავლეთურ ენების ინსტიტუტად გაგაიქცა. ამ დაწესებულებაში პროფესორობდა ა. ცაგარელი, რომლის ადგილიც ნ. მარმა დაიკავა და სადაც ივ. ჯავახიშვილი სწავლობდა. მან 1905 წელს უძღვნა ქართულ-სომხურ ურთიერთობას შრომა „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წესწყობილება“, მერმედ „საქართველოს და სომხეთის განხეთქილების ისტორია“ და ბოლოს მთელი წიგნი სომხური ისტორიის წყაროების და სომეხ ისტორიკოსების კრიტიკული განხილვისა. საქართველოს სახელმწიფოს და ქართულ საზოგადოების სისუსტის ანუ დაცემის ხანას, ქართულ-სომხური ურთიერთობა მუდამ იქცეოდა სახიფათო ამბად, ანუ, ყოველშემთხვევაში იღებდა გართულებულ სახეს და მოითხოვდა ქართველებისაგან დიდ გამჭრიახობას. მოთმინებას და სულგრძელობას. დიდათ საყურადღებო არის, სწორედ დღევანდელი მდგომარეობაც. ივ. ჯავახიშვილის ერთ უნიჭიერესს მოწაფედ იყო ს. ჯანაშია. ის ითვლებოდა მასწავლებლის მემკვიდრეთ ძველი ქართული კვლევა-ძიების დარგში. ის, საუბედუროთ, მხოლოდ ექვსიოდე წელიწადი იღვწოდა ივ. ჯავახიქვილის გარდაცვალების შემდეგ. მან ვერ აიტანა ფილტვების ანთება და უდროოთ გარდაიცვალა 1946წ სიკვდილის წინ მას დასჭირდა მკაცრი პასუხის გაცემა მორიგე ისტორიული დამახინჯებისათვის ჩვენ სამხრეთ მეზობლებს, სახელდობრ, აროუთაშვილი-მხარგრძელების ვინაობის, მოღვაწეობის და სულისკვეთობის გამო. ამ შემთ

## ივანე ჯავახიშვილი.

(დასაწყისი იხ. მეორე გვერდზე)

ხევაში ს. ჯანაშიას კილო გვაგონებს უფრო ილია ჭავჭავაძეს, ვიდრე ივ. ჯავახიშვილს.

ყველაზე დიდი ღვაწლი ივ. ჯავახიშვილის, ალბად, არის მისი დაუღალავი სსაქმიანობა ეროვნული მეცნიერობის შესაქმნელად.

მას ღრმად სწამდა მისი აუცილებლობა ისტორიული ჭეშმარიტების მისაღწევად. ანის გამოთხრების ხანას, ანუ როცა 1902 წელს ის წაჰყვა თავის მასწავლებელს სინაის მთაზე და იერუსალიმში, ის სავსებით დარწმუნდა შეუძლებლობაში ისტორიული გამოძიების სწორი წარმოების და მაშასადამე ჭეშმარიტების მიღწევის, თუ თვით მიზანი, მთავარი მიზანი არ არის თვით საგანი, რომელიც იპყრობს მკვლევლის ყურადღებას.

როცა რომელიმე დიდი მეცნიერი, ბიზანტიოლოგი, ფილოლოგი, ლინგვისტი ანუ რომელიმე ახალი სოციალ-ეკონომიური წყობილების მოძღვარი, იყენებს ქართულ ამბავს, როგორც საშუალებას და არა მიზანს. თავისი დიდი თეორიის დასამტკიცებლად, ანუ თავისი რომელიმე წყობილების მისაღწევად, ის ყოველთვის უშვებს შეცდომებს და ხანდისხან ნამეტან მძიმე შეცდომებს. დიდი ავტორიტეტების და მათი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა ნამეტნავად ძნელია და ხანდისხან შეუძლებელიცა თუ არ არსებობს მეცნიერულ საფუძველზე აშენებული ჭეშმარიტების მაძიებელი, ავტორიტეტული, მაგრამ ბუნებრივ, ეროვნულ ნიადაგზე აგებული დისციპლინა და სკოლა. ამ ნიადაგზე ივ. ჯავახიშვილი იყო მკაცრი და და უზოგავი. მან არ დაზოგა არც თავისი მასწავლებელი ნ. მარი, არც ზოგავდა თავის მახლობელ თანამშრომელს კორნელი კეკელიძეს და არც სარგის კაკაბაძეს. უკანასკნელს ის უფრო უსაყვედურებდა აჩქარებას დასკვნებში და არ უარყოფდა ს. კაკაბაძის ხანდისხან სწორ შეგრძნობას და მოსწრებულ დაკვირვებას. ამ შეგრძნობის დარგში, ამ ჟინიან სურვილში გადაარჩინოს ის რაც თითქოს ივიწყება, იკარგება, ქრება სამუდამოდ—არის მოსაგონებელი ზაქარია ჭიჭინაძეც და დღეს საქართველოში მომქმედი, ბეჯითი და აგრეთვე დაუღალავი პავლე ინგოროყვა უთუოდ არის დიდი ყურადღების ღირსი. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ალმაფრენა წმინდა მეცნიერებისაკენ. მისი შეუდრეკელი რწმენა ამ ქადაგობის საჭიროების ყველა პირობებში, ამსგავსებს მას რომელიმე ძველ მოციქულს, ანუ ეროვნული სიბრძნით შობილ სასწაულს.

დამცირებული, შეურაცყოფილი, მერე ისევ დაჯილდოებული, მისთვის „ორდენი“ თუ შეურაცყოფა იგივე ფასისაა—და ის კვდება, როგორც უდრეკელი მარტვილი თავის სამსხვერპლოზე.

ოცი წლის ვადა ისტორიული მიდგომისათვის ნამეტანი მოკლეა და უთუოდ უკადრისობათ ჩაითვლებოდა, ვინმემ გადალახოს საზღვარი საზოგადოებრიობის და შეეხოს სულიერ მომწიფობას ივანე ჯავახიშვილისას. მატერიალიზაცია მისი ზემიწევნილობის სრულიად საჭირო არ არის, მეტადრე მისი ფიზიკური ხაზი სრულებით აღარა სჩანს. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის რექტორობა უნებლიედ მოგვაგონებს თელავის აკადემიის უკანასკნელ რექტორს, დავით მესხიშვილს. დავით რექტორის მიწევნილობა ცნობილია. ის, როგორც ზოგი სხვაც, და მათ შორის ერეკლე მეორეც, „ზედმიწევნილობითა მოწაფედ“ იყვნენ ანტონ პირველ კათალიკოზისა. ამ მიწევნილობის მიწიერი ხაზი იკარგება პრე-ისტორიაში. თითქოს კაცმა უნდა მოიგონოს კოლხიდის „მისტერიები“ და დავით რექტორის მცნებაში არის გარკვეული ამონარეკი ბაკურიანული საიდუმლოებათა დაკავშირების ბაგრატიონთა სეკრეტონთან.

ყოველშემთხვევაში დავით რექტორი იყო არაჩვეულებრივი ზნეობრივი სიმტკიცის პატრონი. რუსების მოსვლით მას წაერთვა (1803 წელს) რექტორობა და აკადემია. მაგრამ ის სიკვდილამდე (1830წ.) უძნელეს პირობებში, და უღალავად შრომობს და ავრცელებს ქართულ მეცნიერებას. საუკუნის მანძილზე, ისევ რუსების მოსვლით, ივ. ჯავახიშვილს წაართვეს რექტორობა და ის, წარმოუდგენელ ძნელ პირობებში, დაუღალავად შრომობს, ავრცელებს და ამაგრებს ქართულ მეცნიერებას. მას თითქოს ეშინია უნივერსიტეტი არ იქცეს დროებით მოვლენად, როგორც თელავის აკადემია, თუ არა დახურვით, საშინაო ზნეობრივი დარღვევით და წარყვნით და ის ჩქარობს ყველა დარგი ქართული სოციალური ვითარების დააყენოს სწორ გზაზე. ქართული მუსიკა, გალობა, საკრავები, ქართული დამწერლობათა მცოდნეობა, ქართულ სიგელთა მცოდნეობა, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა, ქართული სამართლის ისტორია—და რასაკვირველია „ქართველი ერის ისტორია“—არის მთავარი საუნჯე მის მიერ დატოვებული. მას ემატება მრავალი სხვა ნაშრომები, ლექციები და მნიშვნელოვანი წერილები მოთავსებული პერიოდულ გამომცემლობებში.

არსებული გადმოცემით, ქართველ პეტერბურგის სტუდენტებს ჰქონდათ დადებული ფიცი, მათ მიერ შეძენილი ცოდნა მოხმარებული იქმნას ქართველების დასახმარებლად და ქართველი ერის სადიდებლად. მათი პოლიტიკური საქმიანობა და არალეგალური ორგანიზაცია ნაწილობრივ გამომჟღავნებულ იქმნა ბოლშევიკების მიერ „საიდუმლო პოლიციის არქივების“ გამოცემით. პირველი საჯაროდ გამოვიდა ზ. ავალიშვილი 1901 წელს, თავისი ცნობილი წიგნით საქართველოს იურიდიული და ისტორიული უფლების დასაცავად. თუმცა ამ სტუდენტთა წრეში ყველაზე ბრწყინვალედ და ნიჭიერად ითვლებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელზედაც ამხანაგები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ივ. ჯავახიშვილმა თავისი დადებული ფიცი შეასრულა უფრო ადრე, ვიდრე მას გადაწყვეტილი ჰქონდა სამეცნიერო ასპარეზზე გასვლით. 1906 წელს, ეგრედწოდებულ შავი რეაქციის დროს, როცა ქართველი ხალხი იხრჩობოდა სისხლის ზღვაში ივ. ჯავახიშვილი, მიუხედავათ თავის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის მდგომარეობისა გამოდის საჯაროდ იშვიათი გაბედულობით და კადნიერობით და მოითხოვს საქართველოს თვით მართველობას, ე. ი. ავტონომიას. ის უშვებს 45 გვერდიან წიგნაკს სათაურით „პოლიტიკური დასოციალური მოძრაობა საქართველოში 19-ტე საუკუნეში“. ავტორიტეტული სიმტკიცით, ურყევი საბუთების საფუძველზე და სტატისტიკურ ცნობებზე დაყრდნობით,—შესაფერისი მძლავრი აღშფოთებით და აღელვებული პათოსით—ის აღწერს იმ ბნელ სურათს რუსეთის ოკუპაციის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების, უსამართლობის, მუხანათობის, ძარცვა-გლეჯის და მკვლელობის—მთელი საუკუნის განმავლობაში. ის გრძლად ჩერდება ქართველი ხალხის თითქმის შეუწყვეტელ აჯანყებებზე. ისსავსებით ამართლ[illegible] ვოლუციის მოძრაობას საქართველოში 1[illegible]5 წლებში, რომელიც- მისი აზრით, იყო გამოწვეული „საუკუნის უღლით და დარღვევით ყველა ელემენტარული უფლების ქართველი ერისა“ რუსების მიერ. ის აცხადებს თავის განრისხებულ და მკაცრ პროტესტს, რევოლუციის დახრჩობის საბაბით წარმოებული საქართველოში ჟლეტის შესახებ. ის ეუბნება რუსეთის მთავრობას; მართლმადიდებელი ქრისტიანული ჯარის“ გაგზავნით უიარალო და უმანკო ხალხის წინაალმდეგ თქვენ დაიმსახურეთ ქართველი ერისაგან „ღრმა ზიზღი და სიძულვილი“-ო.

წაკითხვა ამ წიგნაკის, მეტადრე დღევანდელ პირობებში.როცა თითქოს ყველგან ყველას სულ ეშინია, ახდენს დიდ შთაბეჭდილებას და აძლევს საზომს ივანე ჯავახიშვილის უდრეკელი. ღონიერზე ღონიერი ზნეობრივი ძალის და სიმტკიცის.

**ივ. ჯავახიშვილის სიკვდილით თითქოს გაწყდა ძაფი, რომელიც უერთებდა თანამედროვე საქართველოს მის წარსულ ზნეობრივ საფუძველთან. გაწყდა სიმი, რომელიც იჭიმებოდა მრავალი და მრავალი საუკუნეების გასწვრივ და ტოკავდა ქართველი ერის სუნთქვაზე.**

სტუდენტი, პროფესორი, რექტორი, მეცნიერი თუ უბრალოდ ადამიანი, ის იყო ჩარეული, რჩევით თუ უშუალო მონაწილეობით, ყველა ღირსეულ ქართულ საქმიანობაში; ხელს უწყობდა ეროვნული პარტიის გაძლიერებას. უხატავდა რუკებს მთავრობას და უხსნიდა სახელმწიფო საზღვრებს. სწერდა „მემუარებს“ პოლიტიკურ საქმიანობისათვის და იღებდა მონაწილეობას მთლად მცირე და კერძო ამბებში მუდამ ზნეობრივი საძირკველის დაცვიდ.

კაცმა არ იცის რა რიგად ყოფნიდა მას დრო სტუდენტები არა თუ პატივს სცემდნენ ივ. ჯავახიშვილს, მათ უყვარდათ თავისი მასწავლებელი. მის ლექციებს უნივერსიტეტის გახსნის პირველი დღიდანვე ესწრებოდა ყველა, ძნელი იყო ადგილის პოვნა. სტუდენტებთან ის იყო ზრდილი, თავაზიანი, თავმდაბალი.

ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა მომხიბლავი ღიმილი, რომელშიც იხატებოდა ოდნავ დამცინარი სიმწარით, რაღაც იდუმალი გაკვირვება და სიყრმის უმანკოება.

დიაღ, საჭიროდ ვცანი საგაზეთო წერილში ივანე ჯავახიშვილის მოგონება, თუნდაც კალმის სისუსტის, უმეცრების და მოუმზადებლობის გარდა—მოწიწებითი პატივისცემის კრძალვაც, უთუოდ ხელს უშლის უწმინდესი პიროვნების ღირსეულად და საკადრისად ხსენებას,—მეტადრე როცა ამას ერთვის, შვილური სიყვარულის მსგავსი, გულის სიღრმიდან მოწყვეტილი გრძნობა.

გ. ჯაყელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ შესაძლებლობა მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოებას მოვახსენო ჩემი აზრი:

### ერთ დემენტის გამო.

**„უმსგავსო საქმე მოკლეა, მით ოხერია“....**

რ. გაბაშვილის ბილწ ნაცოდვილევში სხვა მრავალთა შორის ჩემი მისამართითაც წარმოსროლილ ტლინკების „მოგერიების“ საჭიროებისაგან მე, არა ფსიქიატრს, მთელ ამ უგუნურ ბოდვაში გამჟღავნებული პათოლოგიურ უპასუხისმგებლობის ფაქტი მანთავისუფლებს. ამ იტომაც ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ გარემოებაზე ვაქცევ მკითხველის ყურადღებას

გაბაშვილი თვითონვე გრძნობს ჩემდამი მოძღვნილ ეპიტეტების აშკარა სიველურეს, მაგრამ ვინაიდან იმავე დროს პრიმიტიულ შურისძიების აწყვეტილი მეორე გრძნობა სარბიელს მოითხოვს, ის იძულებული ხდება ამ ეპიტეტების ავტორობის დაფნა უკლებლად ნიკო იმნაიშვილს დაუთმოს. ეს უკანასკნელი კი—რასაკვირველია!—ამას უარყოფს და გაბაშვილის „ფანტაზიის ნაყოფად“ ასაღებს. (იხ. „ჩვენი დროშა“ 31 ნომ.)

სიმართლის აღსადგენად შემდეგი უნდა განვაცხადო: იმნაიშვილი გახლდათ არა მხოლოდ ინსპირატორი, როგორც გაბაშვილი უმართლოდ მის როლსა და „დამსახურებას“ ახურდავებს, არამედ აქტიური მოკავშირე და უერთგულესი თანამშრომელი ყველა იმ მავნე და საძრახ საქმიანობის, რასაც ისინი—ორნი და ტოლნი—შეხმატკბილებულად ეწეოდნენ. ამ საქმეთა საგმიროთა დასაფარავად ორივენი წელებზე ფეხს იდგავდნენ, რათა ალვირ ახსნილ ჭორ-ცილისწამებათა (იხ. ეპიტეტები!) და ინტრიგა-პროვოკაციების საშალებით შეებლალად ახალ ლტოლვილებში ჩემდამი ნდობა და გამოეცალად მათთვის ერთად-ერთი დამხმარე ხელი, როდესაც თვითონ მათ საამისო არც შნო გააჩნდათ, არც უნარი და, რაც მთავარია არც სურვილი. მე არა ერთხელ და გარკვევით გავაფრთხილე იმნაიშვილი საერთოდ მის მავნე საქციელითა და კერძოდ გაბაშვილისთვის სულის მინდობის შედეგებში, მაგრამ ამაოდ, ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი აღმოჩნდა. და რომ მან ამ ანდაზისადმი ერთგულება მისი სანუკვარი ხელობის ზალცბურგიდან მერმინდელ მის „სამოღვაწეო“ ასპარეზზე გადატანითაც დაადასტურა, ამ ახდილ საიდუმლოების უარყოფასაც მალე ალბათ მორიგ დემენტში ამოვიკითხავთ...

ვსარგებლობ შემთხვევით მადლობა ვუძღვნა გაბაშვილ-იმნაიშვილის „მეგობრული დავით“ მეტი რომ არა ვსთქვა, გაოცებულ მეგობრებს თანაგრძნობისა და მოწამეობის შემოთავაზებისათვის, რის გამოყენებას საამისო შემთხვევას ვანდობ.

ერ. რამიშვილი.
ზალცბურგი (ავსტრია).

## ხრუშჩოვის საპროტესტო დემონსტრაცია.

სექტემბრის 18ს.1-960წ. რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა წარმოშობის ამერიკელებმა ნიუ-იორკში, საბჭოთა წარმომადგენლობის სახლის წინ მოაწყეს საპროტესტო დემონსტრაცია. რამოდენიმე ათასი კაცი (ქართველები, უკრაინელები, ესტონელები, ბელორუსები, ლატვიელები, ლიტველები, უნგრელები, ყაზახები, კუბანელები, ალბანელები, რუმინელები, ბულგარელები და სხ.) თავისი ეროვნული დროშებით და პლაკატებით: „ძირს რუსული ბატონობა“, „არ გვინდა მკვლელი ხრუშჩოვი“ და სხ. მწკრივად და დარაზმულად უვლიდნენ გარს ჯერ გაერთიანებული ერების მთავარ სადგომს და შემდეგ რუსეთის წარმომადგენლობის სასახლეს.

რუსეთის წარმომადგენლების სახლს იცავდა ამერიკული პოლიციის გაძლიერებული ნაწილები. დემონსტრაცია გრძელდებოდა 23 დღის მანძილზე. ე. ი. ხრუშჩოვის აქ ყოფნის მთელ პერიოდში.

## აკ. პაპავას 50 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე.

აკაკი პაპავას, მისი ნახევარი საუკუნის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავად, მოუვიდა უამრავი მოლოცვა მეგობრებისაგან და ქართულ სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან.

ბუენოს-აირესში „ლიბერასიონ ეუროპეა“მ რომელიც არის არგენტინეში არსებული—რუსეთის მიერ დაპყრობილ თექსვმეტ ერების კავშირი—იუბილარს საგანგებო დღესასწაული მოუწყო.

ზეიმს ბევრი ხალხი დაესწრო და მხურვალედ იქმნა აღნიშნული იუბილიარის მოღვაწეობის მამულიშვილური თავგანწირვა. აკაკი პაპავას მიართვეს მრავალი საჩუქრები და მოლოცვები.

ამ ერთა გაზეთებშიც მოთავსებული იყო წერილები იუბილარის სამწერლო და პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. რასაკვირველია მასთან ერთად გაზეთებმა აღნიშნეს ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის, რომლის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სწორედ აკაკი პაპავა არის.

არსებულმა ტექნიკურმა დაპრკოლებებმა „ქართულ აზრს“ ხელი შეუშალეს დროზე გამოხმაურებოდა პატივცემული მამულიშვილის აკაკი პაპავას მიერ ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეულ დიდ მნიშვნელოვან ნაღვაწს.

იცოცხლოს მრავალ ჟამიერ და თავის ერთგული სამსახური ქართველი ერისადმი განაგრძოს და „ჩაიყოლიოს უნცროსნი“...

აქვე ვათავსებთ რედაქციის მიერ მიღებულ ბატონ აკაკი პაპავას წერილს.

### ჩემი მადლობა.

ჩემი სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის თავზე მრავალმა თანამემამულემ და მათში ზოგმა ისეთმა, რომელთაც პირადათ არც კი ვიცნობ, გულწრფელის და თბილის მოლოცვით მომმართეს. მრავალი გამამხნევებელი დეპეშები და წერილები მივიღე ამერიკის და ევროპის სხვა და სხვა კუთხეებიდან და სპარსეთიდან, სადაც უწყალო ხვედრმა მიმოაბნია ჩვენი თაობა.

ეს მოლოცვები საუკეთესო და ნათელი სურვილებითაა მოჭედილი, ხოლო მათში ყველაზე მაღალი, ძვირფასი და პატიოსანი თვალია—სურვილი: კვლავ გვეხილოს ჩვენი მადლიანი ქვეყანა.

ყველა მათ, ვინც ამ დროს მე და ჩემი მცირედი ღვაწლი გაიხსენა, მინდა ჩემი დიდი მადლობა მოვახსენო.

ამ მადლობასთან ჩემ სიხარულსაც ვერ ვმალავ, რადგან ვხედავ, რომ დიდი და უანგარო სიყვარული მამულისადმი და რწმენა ჩვენი ქვეყნის აღდგომისა ლტოლვილობის 40 მძიმე წლებს ვერ შეურყევია ემიგრაციის ძველ და ახალ თაობებში; და მე მჯერა—ის ვერც მომავალში გასტეხს იმ რწმენას, და იმედს, საქართველოს განშორების დღიდან გულთან რომ ვატარებთ.

აი, ამიტომ მინდა ჩემს მადლობასთან ეს სიხარულიც საჯაროთ ითქვას.

პატივისცემით: აკაკი პაპავა.
ოკტომბერი, 1960 წ. ბუენოს-აირესი.

**კოლონიალიზმის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.**

**ხრუშჩოვის მიერ დასმულ კოლონიალიზმის საკითხის გარჩევის გამო „ეროვნული ერთობის ორგანიზაციამ გაერთიანებული ერების ყველა დელეგაციებს (კომუნისტური ბლოკის გარდა) დაუგზავნა მემორანდუმი, რომლითაც ასაბუთებს მოსკოვის მიერ წარმოებულ ეკონომიურ ექსპლოტაციას და რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას საქართველოში.**

**300.000-ზე მეტი კომუნისტ ჯაშუშები.**

ამერიკული ლეგიონის 42-რე წლიურ ყრილობაზე ამერიკის შინაგან უშიშროების პოლიციის უფროსმა—ედგარ ჰუვერმა განაცხადა: კომუნისტური ბლოკის ქვეყნებს სამას ათასზე მეტი ჯაშუში ჰყავს მსოფლიოში მიმობნეულიო.

**ჰუვერის აზრით—საბჭოთა სატელილების ოფიციალურ წარმომადგენლების 70-80 პროცენტამდე** აქვთ განაზღვრული საჯაშუშო დავალებებიო.

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*
*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*
*PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.*